პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 18 იანვარი, 1947 წ. № 14 (7798). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საანგარიშო კრებები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა კოლმეურნეობების ცხოვრებაში. „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).

რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად (1-ლი გვერდი).

თ. კოშელევი — ლენინის იდეების ურღვევი ძალა (მე-2 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები (მე-2 და მე-3 გვერდი).

უშიშროების საბჭოში (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები: დეპეშები (მე-4 გვერდი).

საანგარიშო კრებები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა კოლმეურნეობების ცხოვრებაში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად 15 თებერვლამდე ყველა კოლმეურნეობაში უნდა ჩატარდეს კოლმეურნეთა საერთო კრებები, მიძღვნილი სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებისადმი. ამ კრებებზე კოლმეურნეები მოისმენენ კოლმეურნეობათა გამგეობების ანგარიშებს 1946 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ და ჩაატარებენ კოლმეურნეობათა გამგეობების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და სარევიზიო კომისიების არჩევნებს იმ შემთხვევაში, თუ გავიდა საწესდებო ვადა, ან როცა კოლმეურნეთა საერთო კრება საჭიროდ დაინახავს ამის გაკეთებას ვადამდე.

საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებში დიდმნიშვნელოვანი, დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში. კოლმეურნეები თავიანთი არტელის, მისი საზოგადოებრივი სიმდიდრის მქონე სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები არიან.

არტელების თავმჯდომარეთა და კოლმეურნეობების გამგეობათა რეგულარული ანგარიშგება კოლმეურნეთა საერთო კრების წინაშე თვითეული არტელის მეურნეობის წარმატებით განვითარების აუცილებელი პირობაა. კოლმეურნეობის წევრთა მთელი მასის ჩაბმა არტელის საქმეების მართვაში, კოლმეურნეთა შემოქმედებითი აქტივობის დარაზმვა, თავის ყოველდღიურ პრაქტიკაში მათი გამოცდილებაზე დაყრდნობა, მათი ხმისადმი გულისხმიერი მოპყრობა—ამაშია კოლმეურნეობათა დემოკრატიული მართვის საფუძვლები, მეურნეობის ხელმძღვანელობის ბოლშევიკური სტილი.

საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებში ტარდება პასუხსაგებ პერიოდში. ახლახან დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო წელი, ახალი სტალინური ხუთწლედის პირველი წელი. საკოლმეურნეო სოფლისათვის, ისე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, ეს იოლი წელი როდი იყო. ომმა ძლიერ შეარყია ჩვენი მიწათმოქმედების საწარმოო ბაზა. ომით გამოწვეულ სიძნელეებს დაემატა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში გვალვასთან დაკავშირებული სიძნელეები. საჭიროა დაძაბული მუშაობა იმისათვის, რომ უკვე წელს მთლიანად აღმოვფხვრათ გვალვის შედეგები, მივაღწიოთ ძირეულ გარდატეხას სოფლის მეურნეობის აღმავლობაში.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების დიადი სტალინური პროგრამით აღფრთოვანებული კოლმეურნეები გრძნობენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ დახმარებასა და ზრუნვას და თავდადებულად შრომობენ სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული გადაუდებელი ამოცანების გადასაჭრელად. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გასულ ძნელ წელსაც კი ბევრმა მხარემ და ოლქმა, ათასობით და ათიათასობით კოლმეურნეობამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ჩვენი ქვეყნის ბევრმა რაიონმა ვადამდე შეასრულა პურის დამზადების გეგმა და სამშობლოს მისცა გეგმის გადამეტებით ათობით მილიონი ფუთი პური. იმ ოლქებმა და რესპუბლიკებმა, რომლებიც მებამბეობას მისდევენ, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ბამბის ჩაბარების გეგმები, რაც ესოდენ სჭირდება ჩვენს მრეწველობას. უკეთ, ვიდრე 1945 წელს, მუშაობდნენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

ეს საკმაოდ არასრული შედეგები მოწმობენ საკოლმეურნეო წყობილების დიად ცხოველმყოფელ ძალას, კოლმეურნე გლეხობის პატრიოტულ საქმეებს.

1947 წელს პარტიამ და მთავრობამ სოციალისტურ მიწათმოქმედებას დაუსახეს უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი ამოცანები. მთავარი მათგანი ის არის, რომ გადამწყვეტ გარდატეხას მივაღწიოთ მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში, მივცეთ ჩვენს ქვეყანას იმდენი პური, რამდენიც მას სჭირდება ახალი სტალინური ხუთწლედის გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის.

საანგარიშო კრებები, რომლებიც ახლა კოლმეურნეობებში მიმდინარეობს, მოწოდებული არიან დარაზმონ ყველა კოლმეურნე, მობილიზაცია უყონ მასების გამოცდილებასა და შემოქმედებითი ინიციატივას ამ პირველი რიგის ამოცანის განსახორციელებლად.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან სერიოზული დახმარება აღმოუჩინონ საკოლმეურნეო აქტივს, მიაღწიონ იმას, რომ კოლმეურნეთა საერთო კრებები ჩატარდეს მაღალ პოლიტიკურ დონეზე, რომ გადაჭრით იქნას მხილებული საკოლმეურნეო მეურნეობის ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი და მიღებულ იქნას ენერგიული, ქმედითი ზომები ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ცნობილია, რომ გამგეობა საერთო კრებას წარუდგენს წლიურ ანგარიშს კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობის შესახებ. წლიური ანგარიში ციფრებისა და ფაქტების მშრალი ჩამოთვლა როდია. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებდა კოლმეურნეობის გამგეობა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, რომელიც კოლმეურნეობის საარსებო საფუძველია, მისი წარმატებების წყაროა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კოლმეურნეებს ანგარიში უნდა ჩააბაროს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ“. საქმე ეხება კოლმეურნეობათათვის უკანონოდ ჩამორთმეული მიწების, ქონების, ფულადი სახსრების დაბრუნებას, მათი საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივ განმტკიცებას.

მიაღწიონ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, საზოგადოებრივი შრომისადმი ყველა კოლმეურნის პატიოსან დამოკიდებულებას, მათ მიერ შრომადღეების დაწესებული მინიმუმის შესრულებას, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დისციპლინა კოლმეურნეობაში — ეს თავმჯდომარისა და გამგეობის ყველა წევრის წმინდა მოვალეობაა. საერთო კრებებზე უნდა გავაძლიეროთ ყველა პატიოსანი მშრომელის გულისწყრომა ზარმაცების წინააღმდეგ. კრებამ უნდა აიძულოს ყველა კოლმეურნე, ყველა, და არა მარტო უმრავლესობა, იშრომონ პატიოსნად, იშრომონ თავდადებულად, და ახსოვდეთ, რომ საზოგადოებრივ შრომაში აქტიური მონაწილეობა არტელის თვითეული წევრის მოვალეობაა კოლმეურნეობის წინაშე, სამშობლოს წინაშე.

შემდეგ, კრება მოვალეა მოსთხოვოს გამგეობას სრული ანგარიში, თუ რა ზომები აქვს მიღებული შრომადღის განმტკიცებისათვის, ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის.

ცხადია, რომ კოლმეურნეობის საქმიანობის შესახებ გამგეობის ანგარიშის განხილვა უნდა მჭიდროდ დაუკავშირდეს დღევანდელი დღის ამოცანებს. ეს კი ნიშნავს, რომ კოლმეურნეებმა საანგარიშო კრებებზე უნდა დასახონ კონკრეტული ღონისძიებები თესვისათვის მომზადების უსწრაფესად დასამთავრებლად. მივაღწიოთ იმას, რომ გამოყოფილ იქნას თესლი, შევაკეთოთ ინვენტარი, შევასრულოთ თოვლისდაკავების, სასუქის გამოზიდვის გეგმები — ასეთია დღევანდელი დღის ამოცანები.

ნათქვამიდან სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საანგარიშო კრებებს კოლმეურნეობებში. მით უმეტეს დაუშვებელია ცალკეული რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების მიერ კრებების როლის შეუფასებლობა. კრებების დამთავრებამდე ერთი თვე დარჩა. კუიბიშევის ოლქში კი კრებები ჯერაც არ დაუწყიათ. საოლქო ორგანიზაციებმა არ იციან, რა კეთდება ამ მხრივ რაიონებში. მიწათმოქმედების სამინისტროს დღემდე არ შეუმოწმებია ოლქებში საანგარიშო კრებების ორგანიზაცია და ამ მხრივ დახმარებას არ უწევს ადგილობრივ სამიწათმოქმედო ორგანოებს.

საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებში ემთხვევა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების იატორიულ დღეებს. მილიონობით სოფლის ამომრჩეველი კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატთათვის მხურვალე მხარდაჭერით ცხადჰყოფს თავის სიყვარულს სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, თავის მზადყოფნას მთელი ძალები მოახმაროს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებას.

საანგარიშო კრებები კოლმეურნეობებში კიდევ უფრო აამაღლებენ საკოლმეურნეო მასების აქტივობას, დაეხმარებიან კოლმეურნეებს ბოლომდე აღმოფხვრან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევა, ღირსეულად შეასრულონ მოსავლიანობის გადაჭრით ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლიანობის გადიდების ამოცანა ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე წელს.

„პრავდის“ 16/I მოწინავე

რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

1947 წლის 16 იანვარს შესდგა რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

კომისიამ მოისმინა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის ამხ. **ა. ნ. ლარიონოვის** ცნობა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ და აღნიშნა, რომ რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია ჩატარებულია არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით და დამთავრებულია ყველა საარჩევნო ოლქში.

„რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ შესრულების მეთვალყურეობის წესით კომისიამ მოისმინა მშრომელთა დეპუტატების რიაზანის საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. ფ. რიჟოვის ცნობა, თუ როგორ შეასრულეს ოლქის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა არჩევნების დებულების მოთხოვნები საარჩევნო უბნების შექმნის, ამომრჩეველთა სიების შედგენის, საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის სადგომების მოწყობის შესახებ და სხვა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოისმინა ცნობა, თუ როგორ მიმდინარეობს რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ვორონეჟის ოლქის ანის № 235 საარჩევნო ოლქში; ეს ცნობა გააკეთეს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ი. მ. პეტრიჩენკომ** და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა ამხანაგებმა **ნ. ვ. სერენკომ** და **ი. პ. ზახვატკინამ**, რომელნიც ოლქში იყვნენ, რათა ადგილობრივ გაცნობოდნენ არჩევნებისათვის მზადების მსვლელობას. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოისმინა აგრეთვე ცნობა არჩევნებისათვის მზადების შესახებ პენზის № 463 საქალაქო საარჩევნო ოლქში, რაც გააკეთეს საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანმა ამხ. ი. ვ. კირიანოვმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა ამხანაგებმა **ფ. პ. გონჩაროვმა** და **ფ. ს. სადრიევამ**, რომელნიც პენზის ოლქში იყვნენ არჩევნებისათვის მზადების მსვლელობის გასაცნობად.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილის ამხ. ა. ა. კონიუხოვის ცნობა, თუ როგორ ემზადებიან კავშირგაბმულობის ორგანოები არჩევნების დღეს სამუშაოდ.

საარჩევნო უბნების შესაქმნელად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაობის შედეგთა შესახებ ცნობა გააკეთა რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა პ. ვ. ბახმუროვმა.

კომისიამ განიხილა შორი მიმოსვლის მატარებლებში საარჩევნო უბნების შექმნის და რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების სათანადო საარჩევნო ოლქებზე მათი მიწერის საკითხი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა და მიიღო ტექსტი წერილებისა საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგთა გამორკვევის საკითხზე და საუბნო საარჩევნო კომისიებისადმი არჩევნების დღის მომზადებისა და ჩატარების საკითხზე.

პოლონეთის საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრ ბ-ნ მოძელევსკის მოსკოვში ყოფნის შესახებ

პოლონეთის საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრ ბ-ნ ზ. მოძელევსკის მოსკოვში ყოფნის დროს (12-16 იანვარი) მას და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვს ჰქონდათ საუბრები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ი. ვიშინსკიმ.

გულითადობის ატმოსფეროში და სრული ურთიერთგაგებით ჩატარებული საუბრების დროს მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა გერმანიის საკითხისა და ზოგიერთ მიმდინარე საკითხზე.

ლენინის დღეების წინ

აშხაბადი, 16 იანვარი. (საკდესი). თურქმენეთის მშრომელნი წმიდად ინახავენ კაცობრიობის დიდი გენიოსის ვ. ი. ლენინის ხსოვნას. საწარმოებში, სასწავლებლებში, საარჩევნო უბნებში ეწყობა საუბრები, მოხსენებანი და ლექციები.

საწარმო-დაწესებულებებში შესდგება მშრომელთა კრებები, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძის ხსოვნისადმი. 21 იანვარს გაიმართება ქალაქის საბჭოს საზეიმო-სამგლოვიარო სხდომა.

აშხაბადის ოფიცრის სახლი კონკურსს აწყობს ლენინის შესახებ ნაწარმოებთა საუკეთესო შესრულებაზე. კონკურსის პროგრამაშია გორკის, მაიაკოვსკის, ჯამბულის ნაწარმოებნი.

თურქმენეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა და ქალაქის პარტკაბინეტი აწყობენ გამოფენებს, რომლებზეც წარმოდგენილი იქნება ლენინის თხზულებანი და ნაწარმოებნი ლენინის შესახებ რუსულსა და თურქმენულ ენაზე.

ულიანოვსკი, 16 იანვარი. (საკდესი). ქალაქში გაჩაღებულია მზადება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 23-ე წლისთავისათვის. ასობით აგიტატორი მოხსენებებსა და საუბრებს აკეთებს საარჩევნო უბნებში შემდეგ თემებზე: „23 წელი ულენინოდ — სტალინის წინამძღოლობით—ლენინის გზით“, „ლენინი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებელი და ბელადია“ და სხვები.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ულიანოვსკის ფილიალმა მშრომელთა მასობრივი ექსკურსიები მოაწყო. ფილიალის ლექტორები აკეთებენ დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მოხსენებებს.

ოლქის ქალაქებსა და სოფლებში ჩატარებულია 10.000-ზე მეტი ლენინური კითხვა. 19-22 იანვარს ულიანოვსკსა და ოლქის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში შესდგება მშრომელთა საზეიმო-სამგლოვიარო კრებები.

ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი დიდ მუშაობას ეწევა იმ მასალების შეკრებისა და მეცნიერული განზოგადებისათვის, რომლებიც ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრება-მოღვაწეობას შეეხება. გასულ 1946 წელს მუზეუმმა მოაწყო სპეციალური თათბირი ძველ ბოლშევიკთა დიდი ჯგუფისა, რომელნიც შეხვედრიან და უმუშავნიათ ლენინთან მისი ცხოვრება-მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში. მეორე თათბირზე მიწვეული იყვნენ მონაწილენი 1918 წელს მოსკოვში შემდგარი მუშა ქალთა პირველი სრულიად რუსეთის ყრილობისა, რომელზეც ვ. ი. ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა. ამ თათბირებზე მიღებულ იქნა წინადადებანი, რომ გაფართოვდეს ილიჩის შესახებ მის თანამედროვეთა მოგონებების და სხვა დოკუმენტების შესაგროვებლად მუშაობა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

თათბირების შემდეგ მუზეუმმა 100-ზე მეტი წერილობითი მოგონება მიიღო ლენინის შესახებ. მოგონებათა მთელ ფონდში, რომელიც ამჟამად მუზეუმს აქვს, 334 ახალი გამოუქვეყნებელი დოკუმენტი ითვლება. აქ არის პარტიის მესამე ყრილობის დელეგატ გ. ი. კრამოლნიკოვის ნაამბობი, მოგონებანი მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში ბოლშევიკთა დეპუტატ ფ. ნ. სამოილოვისა, მუშა ქალთა პირველი სრულიად რუსეთის ყრილობის მონაწილე ა. მ. კოლონტაისა, ძველ ბოლშევიკ ო. ბ. ლეპეშინსკაიასი, რომელიც შუშენსკოეში იყო გადასახლებული ვლადიმერ ილიას-ძესთან ერთად, სესტრორეცკის ქარხნის ყოფილი მუშის ნ. ა. ემელიანოვისა 1917 წლის ივლისის დღეების შემდეგ რაზლივის სადგურის ახლოს ვ. ი. ლენინის ყოფნის შესახებ.

შეკრებილია ძველი მუშების მოგონებანი მოსკოვის ქარხნებში ლენინის გამოსვლების შესახებ.

ვ. ი. ლენინის შესახებ მოგონებათა შესაგროვებლად მუშაობა გააჩაღეს აგრეთვე ცენტრალური მუზეუმის ლენინგრადის, ულიანოვსკის, კიევისა და თბილისის ფილიალებმა.

ომსკის გუბერნიის სლავგოროდის მაზრაში 1921 წელს ციმბირელ პარტიზანთა თაოსნობით მოეწყო სასოფლო-სამეურნეო კომუნა „თავისუფლება“. კომუნა „თავისუფლების“ ყოფილი წევრი ი. ვ. ქესტოვსკი გამოგზავნილ მასალაში მოგვითხრობს, რომ იგი კომუნამ 1922 წელს მოსკოვს გაგზავნა ლენინთან ტრაქტორის სათხოვნელად. ვლადიმერ ილიას-ძემ მოუსმინა ქესტოვსკის და განკარგულება გასცა კომუნარებისათვის ნადავლი ტრაქტორის მიცემის შესახებ.

ლენინის შესახებ მოგონებათა შეკრება გრძელდება. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად

კალინინელები ახალ წარმატებას აღწევენ

არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ საწარმოო ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდნენ თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის სახარატო, სალურსმნე და სამსხმელო საამქროთა კოლექტივები. სახარატო საამქრომ (უფროსი გ. ჯაფარიძე) იანვრის პირველ ნახევარში ფიზიური გეგმა 107 პროცენტით შეასრულა. საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ სტახანოველი მრანდავები ა. კაცია და ტ. ბებია, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 300-350 პროცენტით ასრულებენ. მღარველებს შორის დაწინაურდა ვ. პავლოვი, რომელიც დღიურ დავალებას სისტემატურად 400 პროცენტით ანაღდებს.

წარმატებით მუშაობს სალურსმნე საამქროს კოლექტივი (უფროსი ზ. კეშელაშვილი). აქ იანვრის პირველ ნახევარში შესძლეს მთელი თვის დავალების განაღდება. საამქროს სტახანოველთაგან მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან ს. წიკლაური, ე. ალექსიშვილი, ვ. შელია და ი. სოლოვიოვი.

გამართულად მუშაობს სამსხმელო საამქროს კოლექტივი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლითონმსხმელების ს. მისკალაშვილისა და მ. ნაროუშვილის მაღალნაყოფიერი მუშაობა. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 400-500 პროცენტით ანაღდებენ.

ი. ზამბახიძე

თვიური გეგმა 15 დღეში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ქუთაისის მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა მორიგ წარმატებას მიაღწია. 15 იანვრისათვის მან თვიური გეგმა 107 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 125.000 ქილა კონსერვი.

ქარხანაში დაწინაურდნენ მთავარი საკონსერვო და სამურაბე საამქროები, რომლებმაც თვიური დავალება 15 დღეში 20-25 პროცენტის გადაჭარბებით განაღდეს. საკასრე საამქრომ იანვრის დავალება ამავე რიცხვისათვის 300 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებული მაღალნაყოფიერებით მუშაობენ სტახანოველები თ. სულაკაძე, ა. ზარდალიშვილი, ა. გულიევა და მ. გლუშენკო. მათ მთლიანად განაღდეს შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

ამ დღეებში ქარხანამ 55 ვაგონი მზა პროდუქცია გზავნის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

დაწინაურდნენ ახალი ადამიანები

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ამ ბოლო დროს დაწინაურდა საქსელე საამქროს კოლექტივი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი სტახანოველი მქსოვი ნინო ბარათაშვილი ყოველდღიურ დავალებებს 160-180 პროცენტით ასრულებს. ასევე წარმატებით მუშაობენ საამქროს სხვა მოწინავე ადამიანები. იანვრის პირველ დეკადაში კარგად იმუშავა იმ განყოფილებამ, რომელსაც კომკავშირელი კავი ქავთარაძე ხელმძღვანელობს. მან დეკადური გეგმა 104 პროცენტით გაანაღდა. მეორე დეკადის დასაწყისიდან ეს განყოფილება კიდევ უფრო მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს და დღიურ დავალებებს 125 პროცენტით ასრულებს.

მქსოველებს ეჯიბრებიან მქსოველები, რომლებიც აგრეთვე მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ. საქსოვი საამქროს მეცხრე კომპლექტმა იანვრის პირველ დეკადაში გეგმის გადამეტებით 140 მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი მოგვცა, ხოლო პირველმა კომპლექტმა დეკადური გეგმის გადამეტებით 239 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი გამოუშვა. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ მ. ბრიაძისა და რ. ზალიშვილის კომპლექტებიც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალი ახალი ადამიანი დაწინაურდა. სამღებრო-სააპრეტურო საამქროში თავი ისახელეს გამაწორებელმა ნ. ებრალიძემ, მღებავებმა გ. ჩიკვაიძემ, ვ. გორგაძემ და ე. სერგიენკომ. საჩითავი განყოფილების სტახანოველებმა ი. ბატონიაშვილმა, ა. სვანიძემ, ბ. სვანიძემ, ა. გველესიანმა, თ. ალიბეგაშვილმა და სხვებმა.

ე. მღებრიშვილი

გურჯაანელ მევაგონეთა წარმატება

გურჯაანელი მევაგონეები წარმატებით ანაღდებენ არჩევნების დღის შესახვედრად ნაკისრ ვალდებულებებს. ადგილობრივი რესურსების გამოყენებით მათ შეაკეთეს სავაგონო პარკის მთავარი შენობა, გასწმინდეს პარკის ეზო, დადგეს ელექტროსახვრეტი დაზგა, რაც დიდად აჩქარებს ვაგონების შეკეთებას; კახეთის მთელ ხაზზე შეაგროვეს სამარაგო ნაწილები; ჯართიდან მოაწყეს ლურსმნის წარმოება; ახალმიღებული მუშებისათვის გამართეს საერთო საცხოვრებელი და მატარებლის ოსტატთათვის ოთხსაწოლიანი ბინა. მოკლე ხანში სავაგონო პარკმა მოწინავე მზეთავების ს. ხვედელიანის, ნ. გველუკაშვილისა და ი. თათრიშვილის უნარიანი მუშაობით 10 ტონამდე საცხები დაზოგა. გეგმის გადამეტებით მიმდინარე რემონტი გაუკეთდა 107 ვაგონს. გამსინჯველის შ. ქურციკიძის ცვლამ ვაგონების გასინჯვის დრო 15 წუთით შეამცირა. ნაყოფიერად მუშაობენ ოსტატები ი. ელიზბარაშვილი, ვ. ყაჭეიშვილი, ა. ქურხული და გ. ღვინიაშვილი. დიდი ყურადღება ექცევა კადრების მომზადებას. მოკლე ხანში აქ მოამზადეს ვაგონების 4 გამსინჯველი, 6 ზეინკალი, 4 გამზეთავი და 1 მატარებლის ოსტატი.

მევაგონეებს შორის კარგად არის დაყენებული სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. აგიტატორები ა. მინდორაშვილი და შ. ქურციკიძე სისტემატურად აწყობენ საუბრებს, ასწავლიან მუშებს საარჩევნო დებულებას და თავიანთ საუბარს მჭიდროდ უკავშირებენ საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლას.

ვ. ციხისთავი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მკერავების შეჯიბრებას სუსტად ხელმძღვანელობენ

იანვრის პირველი დეკადის შედეგების შეჯამებამ გამოარკვია, რომ თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის 16 აგრეგატიდან გეგმა შეასრულა მხოლოდ სამმა, სახელდობრ — ნინო სხირტლაძის (მეორე საამქრო), ზ. სააკიანისა და მ. მარტიროსოვას (მესამე საამქრო) აგრეგატებმა. სხვა აგრეგატები ჩამორჩებიან. არიან ისეთი აგრეგატები, რომლებსაც მუშაობის ცალკეული მაჩვენებლები კარგი აქვთ, მაგრამ დეკადური დავალება მაინც შეუსრულებელი დარჩათ. მაგალითად, ამხ. კვირიკაშვილის აგრეგატს დეკადური დავალება შესრულებული აქვს 64,3 პროცენტით, ხოლო ამ აგრეგატში მომუშავეთა შრომისნაყოფიერება საშუალოდ 125 პროცენტამდე აღწევს. ასევეა ამხ. ელიზბაროვას აგრეგატშიც. აქ თვითეულ მუშას 1-დან 10 იანვრამდე ნორმა შესრულებული აქვს 120 პროცენტით, ამავე დროს კი აგრეგატმა მთლიანად დეკადური დავალება 65,8 პროცენტით ძლივს გაანაღდა.

რამ გამოიწვია ასეთი შეუსაბამობა შრომის ნაყოფიერების საერთო ზრდისა და პროდუქციის გამოშვებას შორის?

დეკადის ბოლოს საამქროებში დაგროვებული ჰქონდათ დიდძალი შეკერილი ტანსაცმელი, მაგრამ ეს პროდუქცია ფაბრიკიდან არ გამოშვებულა, რადგან აკლდათ ღილები, ხოლო უღილებო ტანსაცმელს გამსაღებელი ორგანიზაციები არ მიიღებენ. ქალისა და კაცის პალტოები საყელო-მოუკერებელია, რადგან სასაყელო ბეწვეული დროულად არ მოიმარაგეს.

სოციალისტურ შეჯიბრებას ფაბრიკის პროფესიული ორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობს. საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გოგებაშვილმა იანვრის პირველ დეკადაში ერთხელაც ვერ „მოიცალა“ გაეგო, რა აბრკოლებთ მკერავებს და რა დახმარება ესაჭიროებათ.

მკერავთა შორის დიდი შრომითი აღმავლობაა. სოფიო აბულაძემ იანვრის პირველ დეკადაში გეგმა 150 პროცენტით შეასრულა, ს. შაინოვამ —250 პროცენტით, ანა აბაშიძემ—260 პროცენტით, მ. მარტიაშვილმა—206 პროცენტით, ქ. ჭულუხიძემ — 213 პროცენტით და ა. შ. მკერავები იბრძვიან ახალი საწარმოო მიღწევებით აღნიშნონ არჩევნების დღე — 9 თებერვალი. ისინი მოითხოვენ მეტ კონკრეტულ დახმარებას ადგილობრივი პარტიული, პროფესიული და სამეურნეო ხელმძღვანელებისაგან.

დ. ამირანიძე

ლენინის იდეების ყოვლისმძლე ძალა

23 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი, კაცობრიობის უდიდესი გენიოსი—ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. ლენინის სახელი უკვდავია. იგი ცოცხლობს და მარად იცოცხლებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა გონებასა და გულში. ლენინის იდეათა დიადი გარდამქმნელი გავლენა სწორუპოვარია ისტორიაში. ლენინის სახელთან დაკავშირებულია მარქსიზმის განვითარების ახალი ეპოქა: ლენინიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმია. ლენინის იდეებმა საზოგადოებრივი განვითარების კანონთა სწორი ასახვით რევოლუციურ პრაქტიკას გზა გაუშუქეს, საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობა მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა სასარგებლოდ წარმართეს. რუსეთში ლენინიზმმა გაიმარჯვა, ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე აგებულმა საბჭოთა საზოგადოებამ ყველა განსაცდელს გაუძლო და დამკვიდრდა როგორც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მოწინავე და მტკიცე სისტემა.

ლენინის იდეებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. ეს იდეები გზის მანათობელი ვარსკვლავია, რომელიც კაპიტალისტური მსოფლიოს ექსპლოატირებულ მასებს უჩვენებს, თუ რა მიმართულებით უნდა იბრძოლონ ყოველი სახის კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფალი ცხოვრებისათვის, ნათელი მომავლისათვის.

ლენინის უდიდესი დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე, მთელი პროგრესული კაცობრიობის წინაშე ის არის, რომ მან შექმნა და გამოზარდა ბოლშევიკების პარტია, აღჭურვა იგი თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე მსოფლმხედველობით—ლენინიზმით.

ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რევოლუციურ თეორიას. იგი გვასწავლიდა, რომ ურევოლუციო თეორიოდ არ შეიძლება იყოს რევოლუციური მოძრაობა, რომ მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე თეორიით, რომელიც აღჭურვილია მოწინავე იდეოლოგიით. ლენინმა მარქსიზმი დაიცვა ოპორტუნისტული დამახინჯებისაგან, განავითარა იგი იმპერიალიზმის ეპოქაში ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მეცნიერული განზოგადოებისა და ანალიზის საფუძველზე. ლენინის გენიის მეოხებით მარქსიზმი დამკვიდრდა როგორც ცოცხალი შემოქმედებითი მეცნიერება, რომელიც რევოლუციური მუშათა კლასისა და ყველა ჩაგრული ერისათვის მოქმედების მძლავრ სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

ლენინმა მარქსისტული თეორია განავითარა და ახალი გამოცდილებით გაამდიდრა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში. მან მოგვცა მარქსისტებს შორის იდეალისტურ მიმდინარეობათა ყოველმხრივი კრიტიკა, გაანადგურა სტიქიურობის თეორია, როგორც ოპორტუნიზმის ლოგიკური საფუძველი.

ლენინმა პარტია და მუშათა კლასი აღჭურვა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიით, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის მოძღვრებით. როგორც შემოქმედებითი მარქსისტი, ლენინი ხელმძღვანელობდა მარქსიზმის შინაარსით და არა ფორმით. მან უკუაგდო მარქსიზმის ერთ-ერთი ძველი დასკვნა—ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობის უარყოფა და იგი, ახალ ისტორიულ ვითარებაში, შესცვალა ახალი დასკვნით ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ. ამ ლენინური თეორიით რომ არ ყოფილიყო შეიარაღებული, ჩვენი პარტია წყვდიადში ივლიდა, სწორი გზი არ ექნებოდა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში.

ლენინი მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორი და მშენებელი იყო. მან არა მარტო დაამტკიცა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა, არამედ განსაზღვრა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარების გზები, ჩვენი სამშობლოს სოციალისტური გარდაქმნის გზები და მეთოდები.

ლენინის უდიდესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე ის არის, რომ იგი პარიზის კომუნისა და რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციის გამოცდილების შესწავლით მივიდა გენიალურ დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საუკეთესო ფორმაა არა პარლამენტური დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ საბჭოების რესპუბლიკა. საბჭოების როლის შესახებ ლენინის მოძღვრებამ ბოლშევიკების პარტიას სწორი ორიენტაცია მისცა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის ბრძოლაში. საბჭოების შესახებ ლენინის მოძღვრება რომ არ გვქონოდა, არ გვექნებოდა საბჭოთა ხელისუფლება, უამისოდ კი ვერ დავძლევდით ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ, კულტურულ და სამხედრო ჩამორჩენილობას, ვერ ავაგებდით სოციალისტურ საზოგადოებას.

ლენინმა საბჭოების არსი განსაზღვრა როგორც სახელმწიფოს ახალი, უმაღლესი ტიპი, რომლის ამოცანაა მშრომელთა განთავისუფლება ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო ნამდვილად სახალხო სახელმწიფოა. საბჭოთა სახელმწიფოში ბატონ-პატრონი თვითონ ხალხია, რომლის საქმიანობასაც ლენინ-სტალინის პარტია წარმართავს.

ლენინმა თეორიული საძირკველი ჩაუყარა ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობას. ლენინის ინიციატივით და მისი პირდაპირი მონაწილეობით შექმნილი რუსეთის ფედერაცია იყო საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს მშენებლობის დასაწყისი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პირველსახე. საბჭოთა კავშირის შექმნა ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის გამარჯვება იყო.

ლენინის გენიას ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინებისა და სოციალისტური გარდაქმნის, მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყნად მისი გადაქცევის გეგმების შემუშავება. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა დებულება, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ უნდა დაიკავოს მბრძანებელი ეკონომიური მწვერვალები და სოციალიზმის ძალებად გამოიყენოს ისინი.

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში ძირი გამოეთხარა ბურჟუაზიის ეკონომიურ ძალას. წარმოების ძირითად საშუალებათა ნაციონალიზაციამ ეკონომიკაზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტები მისცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს. საჭირო იყო ფაბრიკა-ქარხნების, ტრანსპორტის ამუშავება, ქალაქსა და სოფელს შორის გაცვლა-გამოცვლის მოგვარება, სოციალისტური ეკონომიკის შექმნა, ქვეყნის გადაქცევა მეურნეობრივად ძლიერ და სამხედრო მხრივ უძლეველ სახელმწიფოდ. ამ ამოცანის სირთულესა და სიძნელეს ის აორკეცებდა, რომ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შედეგად ქვეყანა ეკონომიური ნგრევის მდგომარეობაში იყო. საჭირო იყო მოშუშება იმ ჭრილობებისა, რაც ჩვენს ქვეყანას ორმა ომმა მიაყენა, და დაძლევა მისი საუკუნეობრივი ჩამორჩენილობისა.

ქვეყნის ეკონომიური აღორძინება მხოლოდ სოციალიზმის ბაზაზე შეიძლებოდა. სხვა გზა ისტორიამ არ მოგვცა. ამას ნათლად ხედავდა ლენინი. და მან თავისი შემოქმედებითი აზრი, თავისი ორგანიზატორული ძალები მოახმარა სოციალისტური მშენებლობის გეგმის შემუშავებას. ლენინის გენიის შესანიშნავი ქმნილება იყო გოელროს გეგმა—ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის დიდ სამუშაოთა გეგმა, ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის ახალი ტექნიკური ბაზის შექმნის გეგმა. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ ჩვენ ვერ ვიარსებებთ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუ ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა არ დავძლიეთ. „ან დავიღუპებით, ანდა მთელი ძალღონით გავეშუროთ წინ. აიე აყენებს საკითხს ისტორია" (თხზ. ტ. XXI, გვ. 191).

ლენინი მუდამ მიგვითითებდა, რომ სოციალიზმის აშენება მოგვიხდებოდა მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში, აგრესიულ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა თავდასხმის მუდმივი საფრთხის პირობებში და რომ ამის გამო საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ყოველმხრივ განმტკიცება. ჩვენი სამშობლოს აღორძინების ლენინურ გეგმებში ცენტრალური ადგილი ეკავა მძიმე ინდუსტრიის საკითხს. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით მძიმე მრეწველობის, როგორც სოციალიზმისა და ქვეყნის თავდაცვის მოწყობის მატერიალური ბაზის, გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ლენინის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დაპირობილი მიწათმოქმედების სოციალისტური რეკონსტრუქციის პრობლემას. კოოპერაციულ გეგმას, სოციალიზმის რელსებზე წვრილი გლეხური მეურნეობის გადაყვანის გეგმას რომ ამუშავებდა, ლენინი უდიდეს ზრუნვას იჩენდა გლეხობის მშრომელი მასების ინტერესთა დაკმაყოფილებისათვის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის. ლენინი სწერდა: „გლეხური მეურნეობა ძველებურად ვეღარ იცხოვრებს. თუ ჩვენ ომების პირველ ხანას თავი დავაღწიეთ, ომების მეორე ხანას ისე ადვილად ვეღარ დავაღწევთ თავს და ამიტომ საჭიროა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს" (თხზ. ტ. XXVI, გვ. 37).

ლენინი რევოლუციის გენიოსი, ხალხის ნამდვილი ბელადი იყო. მას განუსაზღვრელად სწამდა ხალხის შემოქმედებითი ძალები, მან კარგად იცოდა, თუ რით ცოცხლობენ ხალხის მასები, და მუდამ უკავშირებდა თავის იდეებს მშრომელი კლასების საარსებო ინტერესებს.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩვენ სოციალიზმს ვაშენებთ კაპიტალიზმის წიაღიდან გამოსული ისეთი ადამიანების ხელით, რომლებიც მთლიანად არ განთავისუფლებულან ძველი, კლასობრივი საზოგადოების თვისებებისაგან. ამიტომ, აღნიშნავდა იგი, თავიანთი ქვეყნის გარდაქმნისას, მშრომელები თვითონაც უნდა გარდაიქმნან. აი ამიტომ ანიჭებდა ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას მასების პოლიტიკურ აღზრდას, მასებში შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების აღზრდას, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანის შეგნების ჩამოყალიბებას. სოციალისტური შეჯიბრების ლენინურმა იდეამ თვალსაჩინო როლი შეასრულა საბჭოთა ადამიანების აღზრდაში, მთელ ჩვენს შემოქმედებითს მუშაობაში.

* * *

როცა გარდაიცვალა ლენინი, ამხანაგმა სტალინმა მაღლა აიფრიალა ლენინიზმის დროშა, ბოლშევიკების პარტიის დროშა და წინ წაიღო იგი. მან წმიდად დაიცვა ეს დროშა, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ლენინიზმის მტრებს, სოციალისტური მშენებლობის მტრებს, რომლებმაც ლენინის სიკვდილის შემდეგ გააძლიერეს იერიშები პარტიის წინააღმდეგ.

ლენინის იდეურ მემკვიდრეობას ავითარებს და ამდიდრებს ამხანაგი სტალინი. ლენინის სიკვდილის შემდეგ სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები ერთადერთი მარქსისტები იყვნენ, რომლებიც ავითარებდნენ მარქსისტულ თეორიას და იგი გაამდიდრეს ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში.

სტალინი ლენინთან ერთად ქმნიდა, ზრდიდა და განამტკიცებდა ბოლშევიკურ პარტიას. არჩევდა და ზრდიდა მის კადრებს. სტალინი ლენინთან ერთად იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტია ლენინის სიკვდილის შემდეგ იზრდებოდა, განამტკიცებდა კავშირს მასებთან, იდეურად იწრთობოდა ყოველგვარი კაპიტულანტების, კაპიტალიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი რესტავრატორების, პარტიისა და ხალხის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ლენინური ანდერძი.

ამხანაგმა სტალინმა განავითარა და დააკონკრეტა ლენინის მოძღვრება კაპიტალისტური გარემოცვის დროს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, დაიცვა ამ მოძღვრების სიწმინდე ყველა და ყოველგვარი დამახინჯებისაგან ბოლშევიზმის მოწინააღმდეგეთა მხრივ. ამის მეოხებით ბოლშევიკების პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი იდეურად შეიარაღებული იყო ისტორიული ამოცანის — სოციალისტური მშენებლობის გზებზე ჩვენი ქვეყნის განახლების — განსახორციელებლად.

ხელმძღვანელობდა რა ლენინური მითითებებით და ავითარებდა რა მათ ახალ ისტორიულ პირობებში, ამხანაგმა სტალინმა ყოველმხრივ შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროგრამა, მეცნიერულად დაასაბუთა მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის აუცილებლობა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ისტორიული ამოცანების განხორციელებას. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა სამშობლომ მოკლე ისტორიულ ვადაში დასძლია თავისი საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა, გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, მიუახლოვდა სსრ კავშირის იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტას, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალიზმის უმთავრეს ქვეყნებს მოსახლეობის ერთ სულზე სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მხრივ.

ამხანაგმა სტალინმა ლენინთან ერთად შეიმუშავა პარტიის თეორია და პოლიტიკა ეროვნულ საკითხში. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით უდიდესი წარმატებებია მიღწეული სსრ კავშირში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მხრივ. საბჭოთა სახელმწიფოს დახმარებით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, თავიანთი კულტურული და სამეურნეო ჩამორჩენილობა აღმოფხვრეს წინათ ჩაგრულმა ერებმა, ისინი ერთიან და ურღვევ ოჯახად შეკავშირდნენ. ხალხთა მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების მძლავრი წყაროა. ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში ხალხთა მეგობრობის, რასებისა და ერების თანასწორუფლებიანობის საბჭოთა იდეოლოგიამ გაიმარჯვა რასობრივი სიძულვილის ფაშისტურ იდეოლოგიაზე.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა და დამტკიცდა საბჭოთა ახალი კონსტიტუცია. ამხანაგ სტალინის მოხსენება ახალი კონსტიტუციის შესახებ და თვით კონსტიტუცია წარმოადგენენ სოციალიზმის თეორიის განვითარებას, სოციალიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებათა მეცნიერულ განზოგადებას. საბჭოთა კონსტიტუცია, რომელსაც ჩვენმა ხალხმა სამართლიანად უწოდა სტალინური კონსტიტუცია, სოციალისტური დემოკრატიზმის იდეათა განხორციელებაა. ჩვენი სახელმწიფო მძლავრი და უძლეველი გახდა, იმიტომ, რომ იგი ეყრდნობა მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობასა და ძმობას, იმიტომ, რომ მას გუშაგობს ლენინისა და სტალინის მიერ გამოზრდილი, ნამდვილად ხალხური საბჭოთა არმია, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას სოციალისტური მონაპოვარი ყოველ მტერთან ბრძოლაში. საბჭოთა სახელმწიფო ეყრდნობა ხალხის შემოქმედებითს ძალებს, მის პატრიოტიზმს, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, თანმიმდევრულ, ბოლომდე სოციალისტურ დემოკრატიას. საბჭოთა სახელმწიფოს წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალა ლენინ-სტალინის პარტიაა.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი მკაცრი გამოცდა იყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის. და ჩვენმა ქვეყანამ ღირსეულად გაუძლო ამ გამოცდას, მიაღწია მტრის სრულ განადგურებას.

ბოლშევიკების პარტიის მოწოდებით, ამხანაგ სტალინის მოწოდებით სამშობლოს დასაცავად დაირაზმა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხი. ხალხის მთელი ძალები მიმართულ იქნა ერთი მიზნის მისაღწევად—გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად. გამარჯვების მოსაპოვებლად საბჭოთა ადამიანები არ ერიდებოდნენ არავითარ მსხვერპლსა და სიძნელეს, მედგრად იტანდნენ ომის ყველა სიძნელესა და გაჭირვებას, გმირულად იბრძოდნენ და შრომობდნენ სამშობლოს დასაცავად. დიდი ლენინის სული და მისი ძლევამოსილი დროშა აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა ადამიანებს გმირული ბრძოლისათვის, სოციალისტური სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის. ისტორიას არ ახსოვს თავისი სამშობლოსათვის ხალხის თავდადებული ბრძოლის მეორე ასეთი მაგალითი.

„ჩვენი ბედნიერებაა, რომ ომის ძნელ წლებში წითელ არმიასა და საბჭოთა ხალხს წინამძღოლობდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და ნაცადი ბელადი—დიდი სტალინი. გენერალისიმუს სტალინის სახელთან ერთად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და მსოფლიო ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სახელოვანი გამარჯვებანი. დიდი ბელადისა და ორგანიზატორის სტალინის ხელმძღვანელობით ახლა ჩვენ შევუდექით მშვიდობიან მშენებლობას, რათა მივაღწიოთ სოციალისტური საზოგადოების ძალების ნამდვილ აყვავებას და გავამართლოთ მთელ მსოფლიოში ჩვენი მეგობრების საუკეთესო იმედები" (მოლოტოვი).

ლენინ-სტალინის იდეები კომუნიზმის გზას უნათებენ საბჭოთა ხალხს. ეს იდეები განსაზღვრავენ საბჭოთა ხალხის მსოფლმხედველობას — თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მოწინავე მსოფლმხედველობას. ლენინიზმი მძლავრ სულიერ და მორალურ ძალას აძლევს ჩვენს ხალხს, საშუალებას აძლევს მას წარმატებით იბრძოლოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამხრწნელი გავლენის წინააღმდეგ, მეშჩანობის, ეგოიზმის, ანგარების წინააღმდეგ. ლენინიზმი მაღალი იდეურობის სულისკვეთებით ზრდის ადამიანებს. ბოლშევიკური პარტიის ბრძოლა ლენინიზმის იდეების გავრცელებისათვის ამავე დროს არის ბრძოლა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, კომუნისტური ეპოქის ადამიანის ჩამოყალიბებისათვის. ლენინიზმისათვის თანმიმდევრული ბრძოლა ჩვენი დიადი შემოქმედებითი საქმიანობის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის აგებისათვის ჩვენი ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ლენინ-სტალინის იდეებს, რომლებმაც ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვეს, თანაგრძნობით ეკიდება ახალ-ახალი მილიონობით ჩაგრული ადამიანი საბჭოთა საზღვრებს გარეთ. ეს იდეები უნერგავენ მათ თავიანთი ძალების რწმენას, ასწავლიან მათ, თუ როგორ იბრძოლონ, რათა დაამხონ ექსპლოატატორები და მიაღწიონ თავისუფალ ბედნიერ ცხოვრებას, ააგონ სოციალიზმი.

ამხანაგ სტალინს მტკიცე რწმენით მიჰყავს პარტია და საბჭოთა ხალხი ლენინური გზით. ლენინის დროშით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ფაშიზმზე და განაახლა თავისი მშვიდობიანი შემოქმედებითი საქმიანობა. უძლეველი ლენინური დროშით, ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი დასძლევს ომისშემდგომი წლების უდიდეს სიძნელეებს, მოიშუშებს ომით მიყენებულ მძიმე ჭრილობებს, აღადგენს ჩვენი ქვეყნის მეურნეობას და მტკიცედ გასწევს წინ, კომუნიზმისაკენ.

პროფესორი თ. კოშელევი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

კონსტანტინე გიორგის-ძე ჭიჭინაძე

ამხ. კონსტანტინე გიორგის-ძე ჭიჭინაძე დაიბადა 1902 წელს სოფელ ლესიჭინეში (ჩხოროწყუს რაიონი). 1926 წლიდან საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია.

1931-1932 წლებში ამხ. კ. ჭიჭინაძე იყო საქართველოს სსრ საკოლმეურნეო ცენტრის გამგეობის წევრი. 1933 წლიდან ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზეა. მუშაობს ყვარლის, ხობისა და ცხაკაიას რაიონებში, შემდეგ კოლხიდმშენში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგად, და აქედან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში ბეჭდვითი სიტყვისა და გამომცემლობათა განყოფილების გამგედ.

1938 წელს ამხ. კ. ჭიჭინაძე არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად. შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში იყო აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. 1943 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილედ მეცხოველეობის დარგში.

ამხ. კ. ჭიჭინაძე არის საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით და სამი მედლით.

ამხ. კ. ჭიჭინაძე არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. კ. ჭიჭინაძე რეგისტრირებულია ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმეს № 188 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილი

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილი ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის და საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების წევრია.

ამხ. ი. ბერიტაშვილი დაიბადა 1884 წელს.

თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა მან 1910 წლიდან დაიწყო. 1941 წელს დაინიშნა ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის თბილისის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორად. ამავე წლიდან ი. ბერიტაშვილი არის საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ და სამედიცინო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე.

ამხ. ი. ბერიტაშვილი 193 ნაბეჭდი შრომის ავტორია. 1935 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1937 წელს გამოქვეყნდა ამხ. ი. ბერიტაშვილის შრომა „კუნთებისა და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია". ამ ფრიად დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომისათვის მას მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატობა.

ამხ. ი. ს. ბერიტაშვილი არის საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. იგი მშრომელთა ფართო მასებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

ნაყოფიერი და თავდადებული მეცნიერულ-საზოგადოებრივი შრომისათვის ამხ. ი. ს. ბერიტაშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და ორი მედლით.

ამხ. ი. ს. ბერიტაშვილი საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია თბილისის რაიონის მარტყოფის № 36 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

მიხეილ ბესარიონის-ძე სარჯველაძე

ამხ. მიხეილ ბესარიონის-ძე სარჯველაძე დაიბადა 1904 წელს. სპეციალობით აგრონომ-ტექნოლოგია. 1927 წლიდან მუშაობს ჩაის მრეწველობის დარგში და თავისი უნარიანი შრომით ავტორიტეტი მოიპოვა მშრომელთა შორის.

1938 წლიდან 1943 წლამდე ამხ. მ. სარჯველაძე მუშაობდა ტრესტ „საქართველოს ჩაის" მმართველის მოადგილედ, ხოლო 1943 წლიდან დღემდე ტრესტის მმართველია.

ამხ. მ. სარჯველაძე საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია 1939 წლიდან. თავდადებული და ენერგიული მუშაობისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და ორი მედლით.

ამხ. მიხეილ ბესარიონის-ძე სარჯველაძე საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ბათუმის რაიონის მახინჯაურის № 228 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

ნუშო ივანეს ასული ციხელაშვილი

მშრომელთა ნდობით და სიყვარულით სარგებლობს უპარტიო ბოლშევიკი, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ნუშო ივანეს ასული ციხელაშვილი. ეს ნდობა მან დაიმსახურა უმწიკვლო და თავდადებული შრომით, როგორც მოწინავე და სამაგალითო კოლმეურნემ. მის საუკეთესო მუშაობას ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1945 წელს გამოიმუშავა 200 შრომადღე, მიიღო 4.200 კილოგრამი მარცვლეული და 700 ლიტრი ღვინო. სტახანოვური მოსავლის მოყვანისთვის ამხ. ციხელაშვილი ყოველწლიურად იღებს პრემიებს.

ამხ. ციხელაშვილი დაიბადა 1901 წელს. 1931 წლიდან იგი კოლმეურნეობის აქტიური წევრია.

ამხ. ნუშო ივანეს ასული ციხელაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია თელავის რაიონის იყალთოს № 106 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲝᲛᲐᲡ-ᲫᲔ ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ

ამხ. ა. თ. კვაჭაძე დაიბადა 1900 წელს ბაკურიანში, რკინიგზელის ოჯახში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებია შემდეგ მუშაობა დაიწყო სახალხო განათლების ორგანოებში. 1932 წლიდან საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია. 1935 წლიდან ხელძღვანელ პარტიულ საქმეშოზეა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციაში.

1938 წელს ამხ. ა. კვაჭაძე არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიონის ორგანიზაციის სტალინის რაიონის ორგანიზაციის პირველ მდივნად, 1940 წლიდან 1943 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნად კადრების დარგში, 1943 წლის ოქტომბრიდან დღემდე არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე.

ამხ. ა. კვაჭაძე არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი და საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „სპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ᲒᲣᲚᲜᲐᲠᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲭᲘᲚᲦᲐᲫᲔ

ამხ. გულნარა სიმონის ასული ჭილაძე აკადემიური კოლმეურნეა. ის დაიბადა 1925 წელს სოფელ ჩიხაში, სარჩერის რაიონში. წლების მანძილზე მუშაობს სოფელ ჩიხის „პირველი მაისის“ სახელობის კოლმეურნეობაში.

დიდი სამამულო ომის დროებში, როდესაც მამაკაცები სამშობლოს დასაცავად წავიდნენ, გულნარა ჭილაძე გაორკეცებული ენერგიით შრომობდა, რათა კოლმეურნეობას არ დასტყობოდა მუშახელის ნაკლებობა. ამასთან ერთად მან დიდი წარმატება მოიპოვა მეაბრეშუმეობაში. 1946 წელს 4 გრამი აბრეშუმის თესლიდან ნაკლებად გეგმით გათვალისწინებული 9,2 კილოგრამი პარკისა, სახელმწიფოს ჩაბარა 17,3 კილოგრამი მაღალხარისხოვანი პარკი და გეგმა 187 პროცენტით შეასრულა.

ამხ. გ. ჭილაძე საზოგადოებრივ მუშაობაშიც მოწინავეა. 1946 წელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს ის ჭიათურის № 563 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი იყო და დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით ასრულებდა. ამხ. ჭილაძე დაჯილდოებული მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. გ. ჭილაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ა. კვაჭაძე რეგისტრირებულია ახალციხის რაიონის ვალეს № 59 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ-ᲫᲔ ᲙᲐᲪᲐᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ამხ. ვახტანგ ალექსანდრესძე კაკაძაშვილი დაიბადა 1910 წელს თელავში, ეჭიმის ოჯახში. 1930 წლიდან, საქართველოს სსრ ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 10 წლის განმავლობაში მუშაობდა თავისი სპეციალობის მიხედვით. 1940 წლიდან 1942 წლამდე ტრესტ „საქართველოს სახელმწიფო პროექტის“ მთავარი ინჟინერი იყო. შემდეგ კი გადაყვანილ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, სადაც ჯერ ინსტრუქტორად მუშაობს, მერმე სამრეწველო განყოფილების გამგის მოადგილედ. 1946 წლის ივლისში დანიშნულ იქნა საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრად.

ამხ. ვ. კაკაძაშვილი საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში შეიყვანა 1941 წელს. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. ვ. კაკაძაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია გურჯაანის რაიონის ბაკურიანის № 90 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲙᲝᲭᲚᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ამხ. ა. ი. კოჭლავაშვილი დაიბადა 1906 წელს. 1928 წლიდან 1936 წლამდე იგი ხელმძღვანელ კომკავშრომულ და საგაზეთო სამუშაოზე იყოფებოდა. 1937-1939 წლამდე მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგის მოადგილედ. 1939 წლიდან ამხ. კოჭლავაშვილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან და სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის ორგანოებშია. ამკამად ამხ. ა. ი. კოჭლავაშვილი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორმუნდებლია სპეციალური მშენებლობის ბაზით. იგი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია 1928 წლიდან.

1945 წელს ამხ. ა. ი. კოჭლავაშვილს მიენიჭა გენერალ-მაიორის ზოგება. იგი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით, „სპატიო ნიშნის“ ორდენით და სამი მედლით.

ამხ. ა. ი. კოჭლავაშვილი არის საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი და საქართველოს კ. პ. (ბ) აბარის საოლქო კომიტეტის წევრი.

ამხ. კოჭლავაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაიტარა ჭ. სოხუმის გოგოლის № 196 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ-ᲫᲔ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ამხ. გიორგი დავითის-ძე ანანიაშვილი დაიბადა 1910 წელს თბილისში, რკინიგზელი მუშის ოჯახში. ინდუსტრიულ ტექნიკუმში სწავლობდა და ამავე დროს მუშაობდა თელასის ელექტრომონტიორად. ტექნიკუმის კურსის დამთავრების შემდეგ, წარჩინებულად მოუწყვეტლად სწავლობდა კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელიც დამთავრა 1934 წელს და დატოვებულ იქნა ინსტიტუტში სამეწველო საწარმოთა ელექტროფიკაციის კათედრასთან.

1937 წელს ამხ. გ. დ. ანანიაშვილმა შეთავსებით მუშაობა დაიწყო საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ენერგეტიკის სექტორის უფროსად.

1940 წლიდან 1942 წლამდე ამხ. გ. ანანიაშვილი მუშაობდა ხრამჰესის მშენებლობაზე. შემდეგ გადაყვანილ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო განყოფილების ინსტრუქტორად. 1942 წელს დაინიშნა საქართველოს სს რესპუბლიკის კომენალური მეურნეობის სახალხო კომისრის მოადგილედ, ამკამად კი კომენალური მეურნეობის მინისტრია.

ამხ. გ. ანანიაშვილი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია 1938 წლიდან. იგი დაჯილდოებულია „სპატიო ნიშნის“ ორდენით და ორი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ანანიაშვილი რეგისტრაციაში გაიტარა სგარეჯოს რაიონის სართიჭალის № 88 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ᲩᲘᲜᲐᲠᲘᲙᲘ ᲕᲐᲠᲗᲐᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲜᲔᲠᲘᲡᲔᲡᲘᲐᲜᲘ

ამხ. ჩინარიკ ვართანის ასული ნერსესიანი დაიბადა 1922 წელს ახალქალაქის რაიონის სოფელ ოლაევერდში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

ამხ. ჩინარიკ ნერსესიანი ოლაევერდის კოლმეურნეობის წევრია 1934 წლიდან. 7 წლის განმავლობაში მწველავად მუშაობს კოლმეურნეობის სარძოლსასაქონლო ფერმაში. ამ ხნის მანძილზე არ აოფილა შემხვევა, რომ მას არ შეესრულებინოს საწარმოო დავალება. მთელი გულისხმიერებით, მონდომებით უვლის მოზრდილულს და მაღალ მაჩვენებლებსაც აღწევს.

1946 წელს წველის გეგმა ამხ. ჩ. ნერსესიანმა ვადაზე და გადამეტებით შეასრულა, ამასთან 10 ხბო გამოზარდა. ნამატის შენარჩუნებისათვის მიიღო ჯილდო. 1946 წლის 10 თვის განმავლობაში გამოიმეშავა 500 შრომადღე.

ამხ. ჩინარიკ ვართანის ასული ნერსესიანი საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ახალქალაქის რაიონის არაგვის № 63 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

ᲑᲔᲜᲘᲐᲛᲘᲜ ᲔᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ამხ. ბენიამინ ელისა-ძე სარიშვილი დაიბადა 1905 წელს ლეგეხა ოჯახში. 1920 წელს დაამთავრა სოფლის შვიდწლიანი სკოლა და შევიდა ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში.

1925 წლიდან 1941 წლამდე ამხ. ბ. სარიშვილი მუშაობდა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალეაეროსარემონტო ქარხანაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ამავე დროს უმაღლეს სასწავლებლებშიც მეცადინეობდა. წარმატებით დაამთავრა ამერკაკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი. 1941 წლიდან 1944 წლამდე მუშაობდა თბილისა კიროოვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის დირექტორად. 1944 წელს დანიშნულ იქნა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისრად, ხოლო შემდეგ მინისტრად. ამხ. სარიშვილი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია 1939 წლიდან.

ამხ. ბ. სარიშვილი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით და ორი მედლით.

ამხ. ბ. სარიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ქ. თბილისის ხარაგეულის № 19 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲒᲝᲛᲔᲚᲐᲣᲠᲘ

ამხ. ნ. გ. გომელაური დაიბადა 1907 წელს. განათლებით სამთო ინჟინერია. 1932 წლიდან 1941 წლამდე მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე თავისი სპეციალობის მიხედვით. 1941 წლიდან 1943 წლამდე იყო ჯერ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო განყოფილების ინსტრუქტორი, შემდეგ კი გაგზავნილ იქნა 1943 წელს ალიბრეზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიონის პირველ მდივნად, ხოლო 1944 წლიდან დღემდე მუშაობს ამერკაკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორად.

ამხ. ნ. გომელაური არის მთელი რიგი მეცნიერული შრომების ავტორი. იგი ინიციატივიანი, ენერგიული მუშაკია.

ამხ. ნ. გ. გომელაური დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით და ორი მედლით.

ამხ. ნიკოლოზ გიორგის-ძე გომელაური საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია წითელწყაროს № 97 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲒᲣᲯᲔᲯᲘᲐᲜᲘ

მოწინავე საბჭოთა სპეციალისტი, ნეიმერი, მზარდი მეცნიერი შეშაკი ამხ. ბორის ივანეს-ძე გუჯეჯიანი დაიბადა 1909 წელს ზუმი სვანეთში. 1925 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1931 წელს დამთავრა ამერკაკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის გეოლოგიური ფაკულტეტი და დატოვებულ იქნა კათედრასთან. დაიცვა დისერტაცია და მიიღო გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. შემდეგ ხელმძღვანელობდა გეოლოგიის კათედრას და უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდა ლექციებს.

ამხ. ბ. გუჯეჯიანს აქვს სერიოზული მეცნიერული შრომები. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა გეოლოგიურ-საძიებელ პარტიებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ამკამად ამხ. ბ. ი. გუჯეჯიანი კომბინატ საქართველოს ქვანახშირის უფროსია.

ამხ. ბ. გუჯეჯიანი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით და ორი მედლით. არის ავტიერი საზოგადოებრივი მუშაკი. 1922 წლიდან მუშაობდა კომკავშრომში ხელმძღვანელ სამუშაოებზე. 1938 წლიდან საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია.

ამხ. ბორის ივანეს-ძე გუჯეჯიანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ზუმი სვანეთის № 145 საარჩევნო ოლქში.

ᲐᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან ანა ალექსანდრეს ასულმა ბარათაშვილმა ფრონტზე წასული ქმარი შეხვედა ბორჯომის კალინინის სახელობის შუშის ქარხანაში. პატრიოტმა ქალმა მოაწყო ხანში ითითესა რთული პროფესია და ტანახოელთა რიგებში ჩადგა. თვეში გეგმებს 260 პროცენტით ასრულებს. ალზარდა ათობით ახალგაზრდა ოპერატორი და ბოთლის მბერავი.

უპარტიო ბოლშევიკი ამხ. ა. ბარათაშვილი ფულისხმიერი, დაუზარელი პუშაკია, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში, იბრძვის მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის და თავის გამოცდილებას უზიარებს ამხანაგებს.

ამხ. ა. ბარათაშვილი დაიბადა 1912 წელს სოფელ ქვიშხეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

ამხ. ა. ბარათაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ბორჯომის № 55 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

ᲐᲜᲓᲠᲝᲜ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ

ამხ. ანტონ ვასილის-ძე ჯორბენაძე დაიბადა 1904 წელს. 1919 წლიდან მუშაობს ამერკაკავკასიის რკინიგზაზე, ჯერ ზეინლად, შემდეგ მეშინაქანედ. 1927 წელს შეიყვანა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

ამხ. ა. ჯორბენაძე აქტიური მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1937 წელს იგი არჩეულ იქნა ამერკაკავკასიის რკინიგზის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარედ, სადაც ეუშობს დღემდე.

1938 წელს ამხ. ა. ჯორბენაძე აირჩიეს საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და პრეზიდიუმის წევრად. მას მეჭიერი კავშირი აქვს თავის ამომრჩეველებთან და გულისხმიერად ეხმაურება მათს საჭიროებებს.

ამხ. ანტონ ჯორბენაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, „სპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. ა. ჯორბენაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია გურჯაანის № 89 საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

ᲜᲘᲜᲝ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ-ᲩᲐᲠᲙᲘᲐᲜᲘ

ამხ. ნინო ივანეს ასული გიგაური-ჩარკიანი დაიბადა 1900 წელს. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მუშაობს პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებში პასუხსაგებ სამუშაოებზე. 1927 წლიდან საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია.

1939 წელს ამხ. ჩარკიანი არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიონის პირველ მდივნად, ხოლო 1940 წლიდან მუშაობს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ.

ამხ. ნ. გიგაური-ჩარკიანი არის საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი. ის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“.

ამხ. ნ. გიგაური-ჩარკიანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის პუშკინის № 22 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. (საკდესი). გუშინ დილით შესდგა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილდა განხილვა გენერალური ასამბლეის რეზოლუციის და შეიარაღების საყოველთაო რეგულირებისა და შემცირების შესახებ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წინადადებებისა ამ რეზოლუციის განხორციელების თაობაზე. პირველმა ორმა ორატორმა — ჩინეთის დელეგატმა გო ტაი-ციმ და ავსტრალიის დელეგატმა მეიკინმა — წინადადება წამოაყენეს, რომ საბჭომ ერთდროულად განიხილოს შეიარაღების საყოველთაო რეგულირებისა და შემცირების პრობლემა და ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხი. ამრიგად, ეს ორატორები საერთოდ გამოიდნენ იმ პოზიციის თვალსაზრისით, რომელიც საფრანგეთმა დაიკავა მის მიერ წინათ წამოყენებულ რეზოლუციის პროექტში, მაშინ როცა შეერთებულმა შტატებმა წინადადება წამოაყენეს ჯერ განხილულ იქნას ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის მოხსენება, მეიკინმა წარადგინა რეზოლუციის თავისი განსაკუთრებული პროექტი, მაშინ როცა გო ტაი-ციმ მხოლოდ უფლება დაიტოვა შემდეგში წარადგინოს ასეთი რეზოლუცია.

დილის სხდომაზე უკანასკნელად გამოსულმა ბრაზილიის წარმომადგენელმა გომესმა სთქვა, რომ იგი ამჯობინებს ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს უწინარეს ყოვლისა განხილულ იქნას ატომის ენერგიის საკითხი, მაგრამ განაცხადა, რომ, რათა საბჭოს მუშაობა დაჩქარდეს, ბრაზილია მზად არის კომპრომისზე წავიდეს რაიმე გეგმის მიხედვით, რომელიც შესაძლებელს გახდის ერთდროულად განხილულ იქნას ატომის ენერგიისა და საყოველთაო განიარაღების საკითხები, როგორც ამას საფრანგეთისა და ავსტრალიის რეზოლუციები გულისხმობენ.

უშიშროების საბჭოს 15 იანვრის საღამოს სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგატი ამხ. ა. ა. გრომიკო.

შემდეგ სიტყვა აიღო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ოსტინმა, რომელმაც წინადადება წამოაყენა, რომ უშიშროების საბჭომ 4 თებერვლამდე გადასდოს განიარაღების შესახებ რეზოლუციისა და დღის წესრიგში მდგომ ამასთან დაკავშირებულ წინადადებათა განხილვა, რათა შეერთებულ შტატებს დამატებითი დრო მიეცეთ სხვადასხვა წინადადებათა შესასწავლად. ოსტინმა სთქვა, ამჟამად მზად არა ვარ იმისათვის, რომ არ დავეთანხმო ან დავეთანხმო საბჭოთა კავშირის წინადადებას.

აღნიშნა რა, რომ გრომიკოს სურს განიარაღების საკითხზე გენერალური ასამბლეის რეზოლუციის რაც შეიძლება მალე განხორციელება, ოსტინმა ამავე დროს განაცხადა, არ შემიძლია დავეთანხმო იმას, რომ საბჭოთა კავშირის წინადადება ამ საკითხის გადაწყვეტას დააჩქარებსო.

საბჭოთა დელეგატმა გრომიკომ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია მხარი დაუჭიროს ამერიკის წინადადებას განხილვის 4 თებერვლამდე გადადების შესახებ, ვინაიდან ასეთი გადადებისათვის არავითარი საფუძველი არ წამოუყენებიათ. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა უკანვე წაიღო ამერიკის წინადადება, რათა შეეტანა იგი მას შემდეგ, რაც ჩაწერილი ორატორები თავიანთ გამოსვლებს დაამთავრებდნენ.

ამის შემდეგ პოლონეთის დელეგატმა ლანგემ განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ ერთდროულად და დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს შეიარაღების საყოველთაო რეგულირებისა და შემცირების და ატომური იარაღის და მასობრივი მოსპობისათვის გამოსაყენებელი სხვა იარაღის აკრძალვის საკითხები. ლანგემ მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც წინადადებას იძლევა შეიქმნას განიარაღების კომისია, და განაცხადა, რომ პოლონეთი წინააღმდეგი იქნება ყოველგვარი ცდებისა შეაფერხონ განიარაღება ტექნიკურ დაბრკოლებათა მიზეზით. კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ბელგიის, კოლუმბიის, სირიისა და ინგლისის დელეგატები. ინგლისის დელეგატი კადოგანი მოითხოვდა დროებით გადადებულიყო განიარაღების პრობლემის განხილვა, რასაც იმით ასაბუთებდა, რომ საჭიროა დამატებითი დრო შემოტანილ წინადადებათა შესასწავლად და კონსულტაციისათვის.

უშუალოდ კადოგანის შემდეგ გამოსულმა ამერიკის დელეგატმა ჯონსონმა (რომელმაც შესცვალა სხდომიდან წასული ოსტინი) სცადა კვლავ შეეტანა რეზოლუცია შემდგომი განხილვის გადადების შესახებ.

მაგრამ კამათში მონაწილეობისათვის კიდევ ორი ორატორი ჩაეწერა, და უშიშროების საბჭო დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარის მეიკინის წინადადებას განახლდეს დისკუსია 17 იანვარს, ისე რომ კენჭი არ ეყაროს ამერიკის წინადადებას შემდგომი განხილვის 4 თებერვლამდე გადადების შესახებ.

ა. ა. გრომიკოს გამოსვლა უშიშროების საბჭოს სხდომაზე

ნიუ-იორკი, 15 იანვარი. (საკდესი). ა. ა. გრომიკომ უშიშროების საბჭოს 15 იანვრის სხდომაზე შემდეგი განცხადება გააკეთა:

„მე მსურს, უწინარეს ყოვლისა, კმაყოფილება გამოვთქვა იმ ფაქტის გამო, რომ უშიშროების საბჭოს გამოსულ წევრთა უმრავლესობა კეთილმოსურნედ მოეკიდა საბჭოთა წინადადებებს, რომლებიც მე უშიშროების საბჭოს განსახილველად შემოვიტანე 1946 წლის 27 დეკემბერს. დისკუსიის მსვლელობაში გამოსულმა ყველა ორატორმა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გარდა, მხარი დაუჭირა როგორც საბჭოთა წინადადებას იმის შესახებ, რომ საჭიროა გადაუდებლად შევუდგეთ პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საყოველთაო რეგულირებისა და შემცირების შესახებ გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციის შესასრულებლად, ისე წინადადებას იმ კომისიის შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა მოამზადოს და უშიშროების საბჭოს წარუდგინოს თავისი წინადადებანი იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც აუცილებელია ასამბლეის ზემოთ მოხსენებული რეზოლუციის შესასრულებლად.

ზოგიერთი წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში საბჭოთა წინადადებების განხილვის მსვლელობაში დამატებით შეეხო ზოგიერთ საკითხს. კერძოდ ისინი აღნიშნავდნენ იმის აუცილებლობას, რომ უშიშროების საბჭომ რაც შეიძლება მალე განიხილოს ატომის კომისიის მოხსენება, იმის გათვალისწინებით, რომ დაჩქარდეს იმ საკითხების განხილვა, რომლებიც ატომის ენერგიისადმი კონტროლის დაწესებას ეხება. შეეხნენ ზოგიერთ სხვა საკითხსაც, მაგალითად, საკითხს სამხედრო-საშტაბო კომიტეტის როლისა და სამხედრო-საშტაბო კომიტეტის და განზრახული კომისიის ურთიერთობის შესახებ ამ უკანასკნელის მიერ გენერალური ასამბლეის რეზოლუციასთან დაკავშირებით სათანადო წინადადებათა მომზადების პროცესში.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ბატონმა კადოგანმა მიზნად განუცხადა ზოგიერთი [illegible]

საბჭოსათვის, საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საჭიროა დაევალოს კომისიას მოამზადოს წინადადებანი არაუგვიანეს სამი თვის ვადისა. გენერალური ასამბლეის მიერ დასმული ამოცანები იმდენადვე სერიოზულია, რამდენადაც საჩქარო. უშიშროების საბჭოს მოვალეობა და მორალური ვალია დააჩქაროს პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავება, გენერალური ასამბლეის ამ გადაწყვეტილების შესრულების უზრუნველსაყოფად, რომელმაც შეიძლება დიდი როლი შეასრულოს მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის. ჩვენს მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს წინაშე მდგომი ამოცანები განისაზღვრება თვით შეიარაღების და შეიარაღებული ძალების საყოველთაო რეგულირებისა და შემცირების პრობლემის და ატომის ენერგიისადმი ისეთი საერთაშორისო კონტროლის დაწესების მნიშვნელობით, რაც უზრუნველყოფს მის გამოყენებას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის.

ამა წლის 9 იანვრის განცხადებაში მე უკვე აღვნიშნე ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მიერ უშიშროების საბჭოს განსახილველად შეტანილი წინადადებანი არ შეესაბამებიან გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციას, ვინაიდან ეს წინადადებანი გენერალური ასამბლეის ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად უშიშროების საბჭოს მიერ კონკრეტულ წინადადებათა შემუშავებას ხელოვნურად დაბრკოლებულს ხდიან იმაზე, თუ რა შედეგი მოჰყვება უშიშროების საბჭოში ატომის კომისიის მოხსენების განხილვას. საკითხის ასეთი სრულიად გაუმართლებელი დაყენება ეწინააღმდეგება გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების არსსა და პირდაპირ აზრს. ყოველგვარი გადაწყვეტილება, რომელიც საკითხის ასეთ დაყენების დაყრდნობოდა, მხოლოდ ზიანს მოუტანდა ასამბლეის გადაწყვეტილებაში წამოყენებულ ამოცანებს—შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების რეგულირებისა და შემცირების, ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახის იარაღის აკრძალვის და ატომის ენერგიის მხოლოდ კეთილობის საქმე [illegible]

რთებული შტატების წარმომადგენლის შემდგომმა განცხადებებმა დაადასტურა ამერიკის წინადადების არსის ჩემი შეფასების სამართლიანობა.

ზოგჯერ ამბობენ, განსაკუთრებით ეს შეიძლება მოისმინოთ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებისაგან, რომ საბჭოს განსახილველად შეტანილ ამერიკულ წინადადებას თითქოს მიზნად აქვს არ დაუშვას ატომის კომისიის მოხსენების განხილვის გადადება. ვინაიდან არავინ არ იძლევა წინადადებას გადადოს ამ მოხსენების განხილვა, საქმე ალბათ ამაში როდია. საქმე მხოლოდ ამაში რომ იყოს, მაშინ ჩვენ შეგვეძლებოდა გვეთქვა ჩვენი ამერიკელი კოლეგებისათვის, რომ ისინი ღია კარს აწვებიან, ვინაიდან ჩვენ აქ, საბჭოში, არ მოგვისმენია არავითარი მოსაზრება იმის წინააღმდეგ, რომ ატომის კომისიის მოხსენება განხილულ იქნას უშიშროების საბჭოში, როცა დღის წესრიგის ამ საკითხს მივადგებით, როცა ამ მოხსენების განხილვას შევუდგებით, საბჭოთა მთავრობა, ცხადია, კვლავ გამოსთქვამს თავის პოზიციას ატომის ენერგიისადმი კონტროლის საკითხში და, კერძოდ, ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახის იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის დადების საკითხში. ეს უკანასკნელი ღონისძიება გადაუდებელი ამოცანაა იმასთან დაკავშირებით, რომ ატომის ენერგიაზე კონტროლი უნდა დაწესდეს, რათა დაშვებულ არ იქნეს მისი გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის.

ამრიგად გამოდის, რომ ლაპარაკს იმის შესახებ, თითქოს უშიშროების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების ამერიკის წინადადებათა სულისკვეთებით მიღების აუცილებლობა ნაკარნახევია იმის აუცილებლობით, რომ დაშვებულ არ იქნას ატომის კომისიის მოხსენების განხილვის გადადება, ნამდვილად არავითარი ნიადაგი არ მოეპოვება და, როგორც სჩანს, გათვალისწინებულია იმისათვის, რომ მდგომარეობა აბნიოს. [illegible]

კომისიის მუშაობის პროგრამის შესახებ

[illegible]

კომისიის შემადგენლობის შესახებ

[illegible]

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები

არჩეულია ვენსან ორიოლი

პარიზი, 16 იანვარი. (საკდესი). დღეს შესდგა საფრანგეთის პარლამენტის ორივე პალატის — რესპუბლიკის საბჭოსა და ეროვნული კრების გაერთიანებული სხდომა, რომელიც მოწვეული იყო საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად.

კენჭისყრაში მონაწილეობდა ორივე პალატის 883 დეპუტატი. ვენსან ორიოლის (სოციალისტური პარტიის წევრი) კანდიდატურას ხმა მისცა 452 დეპუტატმა, შამპეტიე დე რიბს (კათოლიკეებთან ახლო მდგომი პარტია „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობა") — 242 დეპუტატმა, გასს („მემარცხენე რესპუბლიკელთა გაერთიანების" კანდიდატი) — 122 დეპუტატმა, მიშელ კლემანსოს (მემარჯვენე „თავისუფლების რესპუბლიკური პარტიის" კანდიდატი) — 60 დეპუტატმა.

ამრიგად, პრეზიდენტის პოსტზე არჩეულია ვენსან ორიოლი. მისი უფლებამოსილება, კონსტიტუციის თანახმად, 7 წელს გაგრძელდება.

ბლუმის კაბინეტი გადადგა

პარიზი, 16 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ლეონ ბლუმმა რესპუბლიკის პრეზიდენტს ვენსან ორიოლს გადასცა განცხადება თავისი კაბინეტის გადადგომის შესახებ.

იტალიის სოციალისტური პარტიის ახალი ხელმძღვანელობის სხდომა

რომი, 16 იანვარი. (საკდესი). 14 იანვარს შესდგა იტალიის სოციალისტური პარტიის ახალი ხელმძღვანელობის პირველი სხდომა. ხელმძღვანელობამ დანიშნა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ლელიო ბასო — პარტიის მდივანი, ფოსკოლო ლომბარდი — პარტიის ვიცე-მდივანი; აღმასრულებელი კომიტეტის წევრები: ამერიგო ბოტაი, ალბერტო იაკომეტი, ჩეზარე ლომბარდო, ლუჩიო ლუცატო, ჯაკომო მანჩინი.

ბასო, ნენი, ლუცატო, პერტინი დაინიშნენ სოციალისტურ და კომუნისტურ პარტიებს შორის ცენტრალური შემთანხმებელი კომიტეტის წევრებად. ამ კომიტეტის შექმნა გათვალისწინებულია შეთანხმებით ორ პარტიას შორის ერთობლივი მოქმედების შესახებ.

გათიშვის შედეგად შექმნილი მდგომარეობის შესახებ ნენის მოხსენების გამო ხელმძღვანელობამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1) დაუყოვნებლივ დაიწყოს კამპანია გათიშვის წინააღმდეგ ძირეულ ორგანიზაციებში, „განემარტოს პარტიის ყველა წევრს, რომ გათიშვა მშრომელთა ერთიანობაზე თავდასხმას წარმოადგენს".

2) წინადადება მიეცეს დამფუძნებელი კრების დეპუტატებს ფორმალურად დაადასტურონ თავიანთი ერთგულება პარტიისადმი.

ურუგვაის კომპარტია საამერიკათშორისო სამხედრო თანამშრომლობის გეგმის შესახებ

მონტევიდეო, 16 იანვარი. (საკდესი). ურუგვაის საგარეო საქმეთა მინისტრ როდრიგეს ლარეტის განცხადებასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ ურუგვაის მთავრობა მიიღებს ტრუმენის გეგმას საამერიკათშორისო სამხედრო თანამშრომლობისა და შეიარაღების უნიფიკაციის შესახებ, ურუგვაის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 11 იანვრის სხდომაზე გამოიტანა გადაწყვეტილება „კვლავ გამოსთქვას ზიზღი გეგმისადმი, რომელიც მიმართულია ამერიკის კონტინენტის ყველა ქვეყნებზე სამხედრო ბატონობის დამყარებისა და ჩვენი ხალხების უღელში ეკონომიური დამონებისაკენ".

„ჩრდილოეთ ამერიკის ტრესტებისა და მონოპოლიების აგრესიული და დამმონებელი გეგმისადმი ჩვენი ქვეყნის დამორჩილების გზით,—ნათქვამია განცხადებაში,—არა მარტო იკვეცება ურუგვაის დამოუკიდებლობა, არამედ ხდება ცდა, რომ ლათინური ამერიკის ხალხებს აჰკიდონ ომისშემდგომი კრიზისის მთელი სიმძიმე..."

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება მთავრდება ხალხისადმი მოწოდებით—გააძლიეროს კამპანია ტრუმენის გეგმის წინააღმდეგ და მოსთხოვოს მთავრობას, რათა „შესწყვიტოს უცხოეთის ყოველგვარი ჩარევა ურუგვაის ეროვნულ პოლიტიკაში".

სიკვდილით დასჯა ირანში

თეირანი, 15 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „ეთელაათის" ცნობით, არდებილში დახვრიტეს სამი ირანელი ოფიცერი, რომელნიც ერთ დროს ირანის აზერბაიჯანელ დემოკრატებს შეუერთდნენ.

გაზეთი სწერს, რომ თავრიზში დაპატიმრებულია დაახლოებით 1.000 ფიდაი (დემოკრატიული სამხედრო ორგანიზაციის წევრი) და აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი მუშაკი.

პოლონეთის მთავრობის საპასუხო ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

ვარშავა, 15 იანვარი. (საკდესი). როგორც პრეს-კონფერენციაზე პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის დეპარტამენტის დირექტორმა გრომმა განაცხადა, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ვარშავაში გადაეცა პოლონეთის მთავრობის საპასუხო ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტების შესახებ. პოლონეთის ნოტა გადაჭრით უარჰყოფს ამერიკის ნოტებში ჩამოყალიბებულ ბრალდებებს, თითქოს პოლონეთში არ იცავენ არჩევნების თავისუფლებას.

ოსუბკა-მორავსკის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე ვარშავაში

ვარშავა, 15 იანვარი. (საკდესი). დღეს პრემიერ-მინისტრმა ოსუბკა-მორავსკიმ უცხოელი კორესპონდენტებისათვის მოაწყო პრეს-კონფერენცია, სადაც პასუხი გასცა მრავალ კითხვაზე, რომლებიც უცხოელ კორესპონდენტებს აინტერესებდათ სეიმის მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით.

ოსუბკა-მორავსკიმ უპასუხა კითხვაზე მიკოლაიჩიკის მიერ წამოყენებულ ბრალდებათა შესახებ, თითქოს პოლონეთში აპატიმრებენ მიკოლაიჩიკის პარტიის პსლ (პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვე) მომხრეებს, და განაცხადა, რომ ამის იმაზე მეტი საფუძველი არ გააჩნია, ვიდრე იმ ბრალდებებს, რომლებსაც თავის დროზე უშიშროების ორგანოებს უყენებდნენ პსლ პარტიის ცნობილი მოღვაწის სციბორეკის მკვლელობასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, — სთქვა პრემიერმა, — ამის გამო პსლ პარტიამ შეკითხვები შეიტანა კრაიოვა რადა ნაროდოვას სესიაზე. ინგლისის პარლამენტშიც კი გაისმა ბრალდება ოფიციალური პირის მხრივ, ხოლო შედეგად აღმოჩნდა, რომ სციბორეკის მკვლელობა ჩადენილი იყო პსლ პარტიასთან ახლო მდგომი წრეების მიერ.

პრემიერმა გამოაქვეყნა უშიშროების ორგანოების ერთი დღის — 11 იანვრის ცნობები, რომლებშიც მოყვანილია ადგილებიდან გამოგზავნილი მრავალი პატაკი პოლონური არალეგალური ორგანიზაციების ტერორისტული საქმიანობისა და დემოკრატი მოღვაწეების მკვლელობის შესახებ. ამ პატაკებიდან ძნელი არ არის დასკვნის გამოტანა, რომ იმ ბანდიტთა შორის, რომელთაც დანაშაულზე წაასწრეს, ცოტა როდია პსლ პარტიის წევრი.

პსლ პარტიის ბევრი წევრი გამოდის ამ პარტიიდან, რაკი დარწმუნდა არალეგალურ ორგანიზაციებთან პსლ პარტიის ორგანიზაციების კავშირის არსებობაში, — ამბობს ოსუბკა-მორავსკი.

ამასთან ერთად, — ამბობს პრემიერი, — ჩვენ ვხედავთ პოლონელი ხალხის კონსოლიდაციას დემოკრატიის გარშემო, მისდამი ნდობის გაძლიერებას. არჩევნების მოლოდინში პოლონეთის დემოკრატია არ იძლეოდა ისეთ დაპირებებს, რომლებიც ნავარაუდევი იყო იაფფასიანი პოპულარობის მოსახვეჭად. პირიქით, შეიძლება მოვიყვანოთ საწინააღმდეგო მაგალითი, რომ სწორედ გაშლილ წინასაარჩევნო კამპანიაში დემოკრატიამ დასვა საკითხი დასავლეთი მხარეების აღდგენისათვის სახსრების შეგროვების შესახებ. ეს ღონისძიება არ შეიძლებოდა პოპულარული ყოფილიყო, ვინაიდან ვისთვის არის სასიამოვნო თავის ბიუჯეტს ჩამოაკლოს სახსრები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ არ შევმცდარვართ. მოკლე ხნის განმავლობაში ნებაყოფლობით შემოტანილ იქნა 8 მილიარდზე მეტი ზლოტი, ე. ი. დასახული გეგმის 3/4.

ოსუბკა-მორავსკიმ უპასუხა კითხვაზე არჩევნების შესაძლო შედეგების შესახებ და განაცხადა: დარწმუნებული ვარ დემოკრატიული ბლოკის გამარჯვებაშიო.

ოსუბკა-მორავსკიმ რწმენა გამოსთქვა, რომ დემოკრატიული პარტიების ბლოკი არჩევნების შემდეგაც ითანამშრომლებს.

პრემიერ-მინისტრმა უარჰყო ბრალდება პსლ პარტიის საქმიანობის „შევიწროებასა" და სხვა მომაკვდინებელ ცოდვებში, რომელთა შესახებაც მიკოლაიჩიკი უცხოელ კორესპონდენტებს შესჩიოდა. — იყო ცალკეული საჩივრები მიკოლაიჩიკის მხრივ, — ამბობს ოსუბკა-მორავსკი, — მაგრამ ისინი გულდასმით იქნა გამოკვლეული და პროკურატურამ დამნაშავენი სისხლის პასუხისგებაში მისცა.

პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს ყოფილ წევრთა ყრილობა კრაკოვში

ვარშავა, 17 იანვარი. (საკდესი). კრაკოვში, პოლონური გაზეთების ცნობით, შესდგა მიკოლაიჩიკის პარტიის—პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს—ყრილობა, რომელსაც დაესწრო 1.200 კაცი. დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს დემოკრატიული პარტიებისა და პროფკავშირების ბლოკის საარჩევნო პროგრამა.

ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა კრაკოვის ვოევოდობის ყოფილმა ვიცე-ვოევოდამ—პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს ყოფილმა წევრმა მარიამ რუბაშკომ. მან მკვეთრად გააკრიტიკა პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს პოლიტიკა და, კერძოდ, მიკოლაიჩიკის საქმიანობა, რომელიც, როგორც ორატორმა განაცხადა, დამღუპველი იყო და არის პოლონელი ხალხისათვის. დასასრულ რუბაშკომ გლეხობას მოუწოდა გაერთიანდეს პოლონეთის ნამდვილი დემოკრატიის დროშის ქვეშ და ხმა მისცეს დემოკრატიული პარტიების ბლოკის კანდიდატებს. გაცხოველებული დისკუსიის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მაზრის დელეგატებმა, ერთსულოვნად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც ჰგმობს პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს საქმიანობასა და პოლიტიკურ ხაზს. რეზოლუცია პოლონელ მოქალაქეთ მოუწოდებს ხმა მისცენ დემოკრატიული პარტიების ბლოკის კანდიდატებს.

ოფიციალური კომუნიკე ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 15 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ერთი მხრივ საფრანგეთის მთავრობის მეთაურ ლეონ ბლუმსა და მეორე მხრივ ინგლისის პრემიერ-მინისტრ ეტლისა და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ბევინს შორის მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ „მოლაპარაკების დროს გულდასმით განხილულ იქნა საკითხი იმ პოლიტიკის შესახებ, რომელიც უნდა გატარდეს გერმანიის მიმართ. ამ პრობლემების განხილვის მსვლელობაში მხარეებმა აღიარეს, რომ მიღებულ უნდა იქნას ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა გერმანიის ეკონომიურმა აღდგენამ, თუმცა იგი მრავალი თვალსაზრისით არის საჭირო, კვლავ არ შეუქმნას საფრთხე მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

აღიარებულ იქნა, რომ ქვანახშირის იმპორტის გადიდება საჭიროა საფრანგეთის ეკონომიური აღდგენისათვის და რომ რურში ქვანახშირის მოპოვების გადიდება ევროპის რეკონსტრუქციის აუცილებელი ფაქტორია. მაგრამ აღიარებულ იქნა, რომ ამჟამად შეუძლებელია რურიდან ექსპორტის გადიდება და რომ იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას რურის შახტების აღდგენა და დაჩქარდეს გერმანიიდან ექსპორტის გადიდება, საჭიროა ადგილობრივ დარჩეს ქვანახშირის აუცილებელი რაოდენობა. მიუხედავად ამისა, კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ქვანახშირის მოპოვების გადიდების გათვალისწინებული ტემპის შენარჩუნების პირობით ხელისუფალნი გერმანიაში 1947 წლის აპრილის ბოლოსათვის ითვალისწინებენ ექსპორტის იმ მოცულობის აღდგენის შესაძლებლობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის შემცირებამდე 1946 წლის ნოემბერში. როდესაც ეს პირველი შედეგი მიღწეულ იქნება, მაშინ კვლავ მიღებულ იქნება ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ პროგრესიულად გადიდდეს როგორც ქვანახშირის მოპოვება ადგილობრივ, ისე ექსპორტიც მანამდე, სანამ დაკმაყოფილებულ არ იქნება საფრანგეთისა და სხვა მეიმპორტე ქვეყნების საარსებო საჭიროებანი.

აღიარებულ იქნა, რომ ორივე ქვეყანა, რომლებსაც გერმანია 25 წლის განმავლობაში ორჯერ დაესხა თავს, თანაბრად დაინტერესებულია დაიცვას თავი გერმანიის ახალი მუქარისაგან. ამიტომ გადაწყდა, რომ ასეთ გარემოებებში ხელშეკრულება კავშირის შესახებ მათ შორის დადებულ იქნება რაც შეიძლება მოკლე დროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 52-ე მუხლის შესაბამისად და მიმავალში გერმანიის მხრივ ყოველგვარი აგრესიის თავიდან აცილებისა და მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მიზნით. გადაწყდა, რომ ამ მიზნით მოლაპარაკება დაიწყება, როგორც კი შესაძლებელი იქნება.

შემდეგ ორივე მთავრობა დარწმუნებულა, რომ ასეთი ხელშეკრულების დადება გააადვილებს ურთიერთგაგების სულისკვეთებით იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც ორ ქვეყანას შორის წამოიჭრება. ორივე ქვეყანას შორის მრეწველობისა და ვაჭრობის დარგში არსებული მჭიდრო კავშირის გამო გადაწყდა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლებს ინგლის-საფრანგეთის ეკონომიურ კომიტეტში ინსტრუქციები მიეცემათ დააჩქარონ თავიანთი ამოცანების შესრულება რეკონსტრუქციისა და გაუმჯობესების სათანადო გეგმების შესწავლის საქმეში, რათა თავიდან აცილებულ იქნას კონფლიქტები მათ შორის. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ კომიტეტის პირველი შეხვედრა მოხდება პარიზში რამდენიმე დღის შემდეგ და რომ ეს შესაძლებლობას შექმნის მთლიანად განხილულ იქნას მონნის გეგმას ყველა შედეგი. გადაწყდა, რომ როგორც კი პარლამენტში განიხილავენ ინგლისის თეთრ წიგნს ეკონომიკის შესახებ, მოეწყობა კომიტეტის ახალი შეხვედრა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

18 იანვარს: სახელმწიფო ოპერა—„აბესალომ და ეთერი"; რუსთაველის სახელობის — „ორი ბატონის მსახური"; მარჯანიშვილის სახელობის — „ეს ემორჩილება დრო"; გრიბოედოვის სახელობის — „ოდესღაც"; მუსიკალური კომედიის — „მსახიობის სიყვარული"; ხანკულტურის — „სევდიანი რომანი".

შეიძინეთ 1938 წლის სახელმწიფო შინაგანი ხესხის ობლიგაციები

1947 წელს, ისევე როგორც გასულ წელს, ჩატარდება 1938 წლის სესხის მოგებათა 6 ტირაჟი, თვითეულ ტირაჟში გათამაშებული იქნება:

16 მოგება	თითო	25.000 მან.
80 მოგება	თითო	10.000 „
480 მოგება	თითო	5.000 „
4.800 მოგება	თითო	1.000 „
17.344 მოგება	თითო	400 „

მორიგი 52 ტირაჟი ჩატარდება 1947 წლის 25 იანვარს.

სესხის ობლიგაციებს თავისუფლად ჰყიდიან და ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო

მოქალაქე **ვახტანგ სერგოს-ძე ჟღენტმა**, მცხოვრებმა ტრიბუნალის ქ. № 9, აღძრა საქმე ლენინის ქ. № 35 მცხოვრებ მოქალაქე **ელენე ბორისის-ასულ ვასილიევასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **გიორგი ნიკოლოზის-ძე კუსრაევმა**, მცხოვრებმა ბახტრიონის ქ. № 24, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ალექსანდრა იოსების ასულ ჟიროევასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **მაქსიმე შამუკის-ძე დარსანიას** გარდაცვალებას.

და ელენე, სიძე გოგი ქუთათელაძე შვილით დოდოთი იუწყებიან **ლარისა ფარნაოზის ასულ გაბუნიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 18/I, 3 ს. ნიკოლაძის, 8.

სარა, ქეთო, კოლია, ირაკლი ლამბაშიძეები იუწყებიან ბიძაშვილის **სიმონ თურმანიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ქსენია, შვილები ეთერ, ელეონორა, ნოდარ იუწყებიან **ვასილ გიგოს-ძე მაჭავარიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 19/I სოფელ საკროულაში.

ამხანაგები მ. ჯიბლაძე, პ. მჭედლიძე, ა. ვოლფენზონი, მ. ჩინჩალაძე, ს. ბახტაძე, ლურსმანაშვილი, მ. მალაზონია, ქ. ქორიძე, შ. ხუნდაძე, ს. კალანდაძე, მ. ბოჭორიშვილი, მ. თითირაშვილი, ვ. გურამიშვილი იუწყებიან ალექსანდრე ურუშაძის დედის **სოფიოს** გარდაცვალებას.

მშობლები ეფემია, ალექსანდრე, ძმა შურა, მეუღლე დარეჯან, შვილი ცისანა იუწყებიან **მიხეილ ალექსანდრეს-ძე ლომიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 18/I აბასთუმანში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ნ. ი. ელიავას დის მარიამ ლევანის ასულ რჩეულიშვილის გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-05-67, ხაზლებისა—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მასობრივი წერილების — 3-73-24, სასოფლო-სამეურნეოსა — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ტირაჟი 110,000 უე 00003

ც. კ. ბ. ს. ცენტრალური კომიტეტის „კომუნისტის" სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 28.